№ 227 მთავრობის მოამბე
ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მეორე
ფასი 1 მანეთი. ხუთშაბათი 9 ოქტომბერი 1919 წ.

საქართველოს რესპუბლიკა

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
„საქართველოს რესპუბლიკა"
მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის. **ხელის მოწერის ფასი** ერთი წლით 220 მ., ნახევარი წლ. 110 მ., 1 თვით 20 მ., ცალკე № ყველგან 1 მან. სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 9 ს. ნაშუადღ. 2 ს. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1—82.

სახელმწიფო თეატრი

ოპერა ს. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით. სეზონი—1920 წ.

ხუთშაბათს, ოქტომბრის 9-ს, ვოლ. ლევიცკაიას, გლაზის, ხორინის, მადენოვას, მოლჩანოვის, დროზდო-პოლიაევის, პოლიაევის, საბინინის, პოლინოვის და დემიანენკოს მონაწილეობით **მეფის საცოლე.** პარასკევს, ოქტომბრის 10-ს, ზელინსკის, ზალიპსკის, დროზდო-პოლიაევის, ეზროვის მონაწილეობით **„მარგალიტის მაძიებელნი"**. შაბათს, ოქტომბრის 11, ვოლ ლევიცკაიას, სარაჯიშვილის და ინაშვილის მონაწილეობით **„ევგენი ონეგინი"**. კვირას, ოქტომბრის 12, **„რიგოლეტო"**. პირველი აბონემენტის დანარჩენი 3 სპექტაკლის დღე განსაკუთრებით იქნება გამოცხადებული. 1979 1—1

სენაკის ერობის გამგეობისგან

ცხადდება კონკურსი სახალხო სახლის—თეატრის აგებაზე

პირველი პრემია 10,000 მანეთი, მეორე პრემია 5,000 მანეთი.

კონკურსის პირობები: მიწის ნაჭერი სწორკუთხიანი გრძელი მხარე 34 საჟ., მოკლე 12,40 საჟ. ერთ ერთ გრძელ მხარეზე იქნება მეზობელ შენობის კაპიტალური კედელი. შენობა მოთავსებული უნდა იქნეს ადგილის პირველ კუთხეში. შენობისათვის სივრცე არა მეტი 276 საჟ. შენობაში მოთავსებული უნდა იყოს: სახათლოვანი თეატრი აუდიტორია 1000 კაცისთვის, ერთი ცალკე ჯუხდისთვის, სცენა-ტრიბუნა, ვესტიბიული, ბიბლიოთეკა სამკითხველოთი, მუზეუმი ლაბორატორიით. კლუბისთვის სამი ოთახი, სახლის ზედამხედველისთვის ორი ოთახი, ფასადი მოხაზული უნდა იყოს ერთი საჟ. მასშტაბი დიუმში. შემუშავებული უნდა იქნეს, როგორც მთავარი აგრეთვე გვერდის ფასადები **სტილი ქართული.** ვადა გამოცხადების დღიდან ერთი თვე. პროექტი იგზავნება დევიზით დაბეჭდილ კონვერტზე, რომელშიც ნაჩვენებია სახელი, მისი სახელი და გვარი პროექტი გამომგზავნის. პროექტი უკან არ იგზავნება.

1501 2—2 **სენაკის ერობის გამგეობა**

საქართველოს ტეხნიკური საზოგადოების გამგეობა

სთხოვს თავისუფალ ინჟენრებს და ტეხნიკოსებს საჩქაროდ მიაწოდონ ცნობები სამსახურობის შესახებ. მისამართი ინჟ. ვ. კაკაბაძეს, ტფილისი, დიდი მთავრის ქ., № 70. 1934 3—3

იწვევენ

სიტყვიერების, მათემატიკის და ახალი ენების მასწავლებელთ სოხუმში. მიმართეთ უმაღლეს და საშუალო სკოლების მთავარ გამგეს.

1978 3—1

საქართველოს სატრანსპორტო საზ. გამგეობა

აცხადებს, რომ საზოგადოების აქციონერთა საზოგადო კრების გაგრძელება დანიშნულია დღეს, 9 ოქტომბერს საღამოს 8 საათზე საურთიერთო ნდობის ბანკის ბინაზე (დამფუძნებელ კრების ქ. № 6.) 1973 1—1

ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცნობებს წყალსადენის აბონენტებს, რომ წყლის ფულის ყოველ თვიურათ შეტანის გაადვილების მიზნით, მის მიერ მოწვეულია სპეციალური არტელშჩიკები, რომელთაც აბონენტებმა უნდა მისცენ წყალზე გადასახადი, როდესაც ისინი წარმოადგენენ ფულის მიღების კვიტანციას და პირადობის მოწმობას ფოტოგრაფიული სურათით. 1971 1—1

ოფიციალური განყოფილება.

დეკრეტი

სახელმწიფო მოსამსახურეთათვის ჯამაგირის მომატებისა და სხვა გასამრჯელოს მიცემის გამო დაწესებულ ერთდროულ გადასახადის გაუქმებისა.

1) გაუქმებულ იქნეს საბაჟო წესდების, მე-5 ტომის, 317—331 მუხლები (გამოცემა 1914 წ.), რომლითაც სახელმწიფო მოსამსახურეთათვის ჯამაგირის მომატებისა და სხვა გასამრჯელოს მიცემის გამო ხაზინის სასარგებლოდ ერთდროული გადასახადია დაწესებული.

2. დეკრეტი ეს ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1919 წ. ოქტომბრის 3.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი **ს. მდივანი.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე

ევგ. გეგეჭკორი.

განკარგულებანი

ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის სამინისტროსი.

1 ოქტომბერი, 1919 წ. № 56.

განთავისუფლებულია სამსახურის მოვალეობის აღსრულებისაგან ორი თვის ვადით უჯამაგიროთ საბიუჯეტო-სახაზინო განყოფილების რეგისტრატორი თამარა ივანეს ასული სულხანიშვილი ამა წლის 1 ოქტომბრიდან.

2 სექტემბერი, 1919 წ., № 57.

დათხოვნილია თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან თანახმად თხოვნისა, საბიუჯეტო-სახაზინო განყოფილების ბუღალტრის უხუცესი თანაშემწე ბარბალე ვასილის ასული კანდელაკი ამა წლის 1 ოქტომბრიდან.

ფინანსთა დეპარტამენტის დირექტორის მოვალეობის აღმასრულებელი

ალ. კანდელაკი.

26 სექტემბერი, 1919 წ., № 59.

დაინიშნოს საკრედიტო განყოფილების რეგისტრატორად პეტრე კონსტანტინეს ძე დუმბაძე ამა წლის 22 სექტემბრიდან.

ფინანსთა დეპარტამენტის დირექტორის მოვალეობის აღმასრულებელი

ალ. კანდელაკი.

საერთო განყოფილების უფროსი

ივ. პოლუმორდვინოვი

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრისა.

1 სექტემბერი, 1919 წ., № 20.

ინიშნებიან სოხუმის საბაჟოში: აზერბეიჯანის რესპუბლიკის ბელოკანის საბაჟოს გამგე იულიან ფილიქსის ძე კრუპპო გემზე ზედამხედველად.

ვორონცოვკის საბაჟოში: ამავე საბაჟოს გამგის თანაშემწე გ. სიხარულიძე გამგის თანამდებობის აღმასრულებლად 26 აგვისტოდან 1919 წ.

ყაზბეგის საბაჟოში: ახალციხის (ყოფილი აწყურის) საბაჟოს გამგის თანაშემწე შალვა ჩიხლაძე გამგის თანამდებობის აღმასრულებლად 26 აგვისტოდან 1919 წ.

გადაიყვანებიან მთავარ საბაჟოში: სალოღლის საბაჟოს გამგე ბიქ. მარჯანიშვილი საწყობის ზედამხედველის უმცროს თანაშემწედ თანახმად თხოვნისა 26 აგვისტოდან 1919 წ.

ფოთის საბაჟოში: სოხუმის საბაჟოს გემთა ზედამხედველი ბეგლარ მგელაძე ამავე თანამდებობაზე.

სალოღლის საბაჟოში: ახალციხის (ყოფილ აწყურის) საბაჟოს გამგის თანამდებობის აღმასრულებელი ანტონ წულუკიძე ამავე თანამდებობაზე 26 აგვისტოდან ამა წლისა.

ზემოაღნიშნული პირნი: ბ. მგელაძე და ი. კრუპპო ინიშნებიან ხსენებულ თანამდებობებზე 1 სექტემბრიდან 1919 წ.

ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის მინისტრი **კ. კანდელაკი.**

მთავარ საბაჟოს გამგე ბ. **მიქაძე.**

არა ოფიციალური განყოფილება

შინაგან საქმეთა სამინისტროში

ცარცვა და თავდასხმა ახალციხის მაზრაში.

ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის უფროსი შინაგან საქმეთა სამინისტროს შემდეგს აუწყებს:

„ახალციხის ფოსტა-ტელეგრაფის უფროსი დეპეშით მაცნობებს, რომ აბასთუმანში გაგზავნილ უბრალო ფოსტის 4 ოქტომბერს მე 9 ვერსზე ახალციხიდან თავს დაესხნენ ავაზაკები, მაგრამ ფოსტას უვნებლათ გაუსწრია, რის შემდეგ გაუცარცვავთ მგზავრები. იმავე დღეს აბასთუმნიდან მომავალთ კიდევ დასცემიან ავაზაკები, რომლებსაც მხოლოთ სროლით დაუხვრეტიათ, კორესპონდენცია კი ჩამოტანილ იქნა უვნებლათ-საერთოთ ცარცვა გზებზე გახშირებულია.

ქაღალდის და სტამბის მასალის გაზიდვა ერევანში.

სოციალისტ - რევოლიუციონერთა ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რათა ნება მისცეს მას ერევანში გაიტანოს 30 ფუთი შრიფტი და 20 ფუთი საგაზეთო ქაღალდი, რაც სჭირდებათ ერევანში პარტიულ გაზეთის გამოსაცემათ.

სომეხთა სახალხო პარტიის ტფილისის კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რათა ნება დართოს ტფილისიდან ერევანში გაიტანოს 50 ფუთი თეთრი და ყვითელი საგაზეთო ქაღალდი და 30 ფუთი შრიფტი გაზ. „ჟოღოვურთ"-ისთვის, რომელიც ერევანში გამოდის.

ბრძოლა ყაჩაღობასთან.

შინაგან საქმეთა სამინისტრო მთავრობის წინაშე შუამდგომლობს 1 მილიონი გადაიდოს გორის, დუშეთის, თელავის და სიღნაღის მაზრებში ყაჩაღობასთან საბრძოლველათ.

სომხების გადმოსვლა ნეიტრალურ ზონაში.

ნეიტრალურ ზონის კომისარი იუწყება, რომ სომხეთის ს. დისიხის 300 მცხოვრები თავს დაესხა ს. კორინჯის მცხოვრებლებს და გაირეკა ცხვრის ფარა, 4 კამეჩი, 2 ძროხა და მოკლეს მემცხვარე ავაკ ჩილინგაროვი.

ბორჩალოელ გერმანელების გასაჭირი.

ბორჩალოს მაზრის ს. ორმაშენის გერმანელების რწმუნებული აუწყებს შინაგან საქმეთა სამინისტროს, მათ თათრები ხშირათ თავს ესხმიან და სცარცავენ.

სასჯელის გაგრძელება.

შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით 3 თვით გინუგრძელეს სასჯელი შალვა წერეთელს, რომელიც ქუთაისის ციხეშია მოთავსებული და სხვა და სხვა ბოროტ მოქმედების ჩადენა ბრალდება.

განთავისუფლება.

ივანე ქალაშვილი, რომელსაც ამიერ-კავკასიის კომისარიატის ყალბი ბონების დამზადება ბრალდებოდა, გამომძიებლის განკარგულებით გირაოთი გაანთავისუფლეს.

ცარცვა-გლეჯა ნეიტრალურ ზონაში.

ნეიტრალურ ზონის კომისარი აუწყებს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ ნეიტრალურ ზონაში და განსაკუთრებით აირუმ კულპის რაიონში გახშირდა ცარცვა-გლეჯა და მკვლელობა, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ უმთავრესათ სომხის დეზერტირები.

მიწათ-მოქმ. სამინისტროში

ტანისამოსი ახალციხისთვის.

მიწათ მოქმედების სამინისტრო მთავრობის წინაშე შუამდგომლობს, რათა ნება დართოს, რომ ახალციხის მაზრის სოფ. ხიზაბავრის მცხოვრებთ 30%-ის დაკლებით მისცეს სხვა და სხვა აუცილებელი ტანისამოსი, სულ 91,347 მან.

დამფუძნებელი კრება.

ხამშაბათი, ოქტომბრის 7. სხდომა 50.

თავმჯდომარეობს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის ამხანაგი **ექვთიმე თაყაიშვილი.**

მდივნობს დამფუძნებელ კრების მდივნის ამხანაგი **ქრისტინე შარაშიძის ასული.**

კრება იწყება 12 საათზე.

თავმჯდომარე. კრება გახსნილი გახლავთ. მდივანი მოგახსენებთ დღიურ წესრიგს.

ქ ნი ქრ. შარაშიძის ასული (კითხულობს კომისიებში გადასაცემ კანონ-პროექტების სიას და შემდეგ დღიურ წესრიგს).

დღიური წესრიგი:

1. განხილვა დეკრეტისა —სახაზინო რკინის გზის საექიმო სასანიტარო ნაწილისათვის გაწეულ ხარჯის დასაფარავად 1.132.422 მან. კრედიტის გახსნის შესახებ—მომხსენებელია ივ. ჭავჭანიძე.
2. განხილვა დეკრეტისა—ადგილობრივ თვითმმართველობათა სავალდებულო დადგენილების გამოცემის უფლების გაფართოების შესახებ—მომხსენებელია ნიკო ელიავა.
3. მეორე მუხლობრივი განხილვა საქართველოს სახელმწიფო ბანკის წესდებისა—მომხ. დეომ. თოფურიძე.
4. მეორე მუხლობრივი განხილვა 1915 წ. თებერვლის 2-ს კანონის გაუქმების კანონ-პროექტისა.
5. შეკითხვა ეროვნ. - დემოკ. ფრაქციისა მთავრობისადმი ქალ. ხონის მცხოვრებთა წარმომადგენლების დაპატიმრების შესახებ.

თავმჯდომარე. დღიურ წესრიგის შესახებ სიტყვა ეკუთვნის ჭავჭანიძეს.

ივ. ჭავჭანიძე. ს. დ. ფრაქციის სახელით მოვითხოვ, რომ დღიური წესრიგი შემდეგ ნაირად იყოს შეცვლილი.

პირველად განხილულ იქნეს დეკრეტი სენატორების დამტკიცების შესახებ;

მეორედ—სენატორების ჯამაგირების მომატების საკითხი. შემდეგ დარჩეს წარმოდგენილი დღიური წესრიგი იმ რიგზე, როგორც არის.

თავმჯდომარე. დღიურ წესრიგის შესახებ სიტყვა ეკუთვნის ალ. ასათიანს.

ალ. ასათიანი (ერ. დემ.) მოითხოვს, რომ მათი შეკითხვა განხილულ იქნეს საღამოს კრებაზე თუ დღეს ვერ მოესწროს, ან და მის განსახილველად საგანგებო კრება დაინიშნოს.

თავმჯდომარე კენჭს უყრის შემოსულ წინადადებებს. პირველი წინადადება მიღებულია, მეორე უარყოფილი.

სენატორების ჯამაგირების მომატება.

ხ. ჯაფარიძე. როგორც მოგეხსენებათ, დამფუძნებელ კრებამ აირჩია სარეკომენდაციო კომისია სასენატორო პირთა დასასახელებლად. როდესაც სარეკომენდაციო კომისია დაეკითხა სხვა და სხვა სასენატორო პირთ მათ სენატორობის სურვილზე—გამოირკვა, რომ ბევრი მათგანი იძულებული იყო უარი განეცხადებინა, რადგან დამფუძნებელ კრების მიერ გადაწყვეტილი ჯამაგირი იყო მეტად მცირე. ამ გარემოებას ჩვენ ყურადღება მივაქციეთ და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამაც მიიღო ის ჯამაგირები, რომელიც იურიდიულ კომისიის აზრით საჭიროა, რომ დამფუძნებელ კრებამაც მიიღოს, თუ გვინდა ჩვენი სასამართლო მტკიცე ნიადაგზე ავაგოთ.

ეხლა თვიურ ჯამაგირად სენატის თავმჯდომარეს ნაცვლად 4 800 მან. ენიშნება 9.000 მან. მის ამხანაგს ნაცვლად 3.900 მ.—8.000 მ. სენატორს ნაცვლად 3.600 მ.—7.200 მ. პროკურორს ნაცვლად 3 900 მ. ენიშნება 8.000 მ. მის ამხანაგს—ნაცვლად 3.400 მ —7.000 მან.

ამ მოსაზრებით იურიდიული კომისია სთხოვს დამფუძნებელ კრებას მიიღოს შემდეგი დეკრეტი (კითხულობს დეკრეტს).

დეკრეტი ერთხმათ იქნა მიღებული.

თავმჯდომარე. სარეკომენდაციო კომისიის მხრივ მომხსენებელია გრიგოლ გიორგაძე (გ. გიორგაძე დარბაზში არ ბრძანდება). კისრულობთ თქვენ მოხსენებას?

სენატორთა სია.

კ. ჯაფარიძე. სარეკომენდაციო კომისია უდგენს დამფუძნებელ კრებას შემდეგ სიას (კითხულობს).

სენატის თავმჯდომარე—ნაფიცი ვექილი—დავით ბესარიონის ძე **ხელთუფლიშვილი.**

სენატის თავმჯდომარის ამხანაგი, ტფილისის საგანგებო სასამართლოს თავმჯდომარე ივანე მიხეილის ძე **ჯაფარიძე.**

სენატორებად სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტში:

1. ნაფიცი ვექილი ივანე ივანეს ძე **ზურაბაშვილი.**
2. ნაფიცი ვექილი ვასილ ალექსანდრეს ძე **დემიდოვი.**
3. სასამართლო პალატის წევრი სოლომონ გიორგის ძე **მიქელაძე.**
4. ნაფიცი ვექილი გიორგი ისიდორეს ძე **მაღნარაძე.**

სამოქალაქო დეპარტამენტის ადმინისტრატიულ განყოფილებაში.

1. ქუთაისის ქალაქის თავი იურისტი დემიტრი ილარიონის ძე **კალანდარაშვილი.**
2. იუსტიციის მინისტრის ყოფილი ამხანაგი გრიგოლ ივანესძე **გველესიანი.**
3. ნაფიცი ვექილი, მიწადმოქმედების სამინისტროს იურისტკონსულტი ვლადიმერ ნესტორის ძე **ქუთათელაძე.**

სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტი.

1. იუსტიციის სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორი ნიკოლოზ მოსეს ძე **ქიქოძე.**
2. ქუთაისის საოლქო სასამართლოს წევრი ნიკოლოზ მიხეილ ლევანის ძე ქორქაშვილი.
3. ქუთაისის სასამართლოს წევრი ნიკოლოზ გიორგის ძე **მაჭავარიანი.**
4. სამხედრო სამმართველოს თავმჯდომარე იოსებ ნიკოლოზის ძე **როინიშვილი.**
5. სოხუმის საგანგებო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი დიმიტრის ძე სიდამონ ერისთავი.

შალვა მესხიშვილი. და გიორგი გვაზავა თავთავიანთ ფრაქციის დავალებით მწუხარებას გამოსთქვამენ იმის გამო რომ წარმოდგენილ სიაში არ მოჰყვნენ ზოგიერთი ისეთი პირები, რომელნიც მეტად საჭირო იყვნენ, რომ ყოფილყვნენ.

რ. არსენიძე. (ს. დ.) ს. დემ ფრაქცია მხარს უჭერს წარმოდგენილ სიას. მართალია მოიპოვებიან ბევრად უკეთესი პირები, მაგრამ ისინი საჭირონი არიან სხვა მეტი მნიშვნელოვან სახელმწიფო საქმისთვის.

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ აქ დასახელებულნი პირნი დაიცავენ იმ სიმშვიდეს, რომელზედაც უნდა იდგეს სენატი. ამ შემთხვევაში ისინი სავსებით გაამართლებენ იმ იმედებს, რომელსაც ამყარებს მათზე დამფუძნებელი კრება. (ხდება ფარული კენჭის ყრა).

თავმჯდომარე. შედეგებს რეგლამენტის ძალით არკვევს მდივანი თავმჯდომარის მიერ საგანგებოდ მოწვეულ წევრების თანდასწრებით. ვთხოვ ნიკო ნიკოლაძეს ვლასა მგელაძეს და სამსონ ფირცხალავას დაესწრონ ხმების დათვლას. ვლასა მგელაძე დარბაზში არ ბრძანდება. ვლასა მგელაძის მაგიერ ვთხოვ ნიკო ელიავას მონაწილეობა მიიღოს ხმების დათვლაში (ითვლიან ხმებს).

არჩევნების შედეგი.

თავმჯდომარე, არჩევნების შედეგი ასეთია! მიცემულია სულ 59 ბარათი. პრეზიდიუმს არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია, ერთი გაუქმებულია, რადგან დეპუტატს თავის გვარი მოუწერია, რაც არ შეიძლებოდა, რადგან არჩევნები ფარული იყო 2 მა თავი შეიკავა მიცემულ ხმებიდან ხელთუფლიშვილმა მიიღო 56 ხმა ჯაფარიძემ 56. ზურაბიშვილმა 53. დემიდოვმა 54· მიქელაძემ 55, მაღნარაძემ 46.

კალანდარიშვილმა 51, გველესიანმა 54, ქუთათელაძემ 42, ქიქოძემ 45, ქორქაშვილმა 50, მაჭავარიანმა 42, საინიშვილმა 42, სიდამონ ერისთავმა 55. (ტაში).

განხილვა დეკრეტისა—სახაზინო რკინის გზის საექიმო სანიტარო და საეკლესიო ნაწილისათვის გაწეულ ხარჯის დასაფარავად 1.132.422 მ. კრედიტის გახსნის შესახებ.

ივ. ჭავჭანიძე აღნიშნავს დეკრეტის საჭიროებას და მოითხოვს დამფუძნებელ კრებისგან 1.132.422 მ. კრედიტის გახსნის დადასტურებას.

დეკრეტი კამათს არ იწვევს. იგი უცვლელადაა მიღებული.

თავმჯდომარე. შემდეგ საკითხის შესახებ სიტყვას თხოულობს გვაზავა.

გ. გვაზავა. შემდეგი საკითხი რომელიც დამფუძნებელმა კრებამ უნდა განიხილოს გახლავთ დეკრეტი ადგილობრივ თვითმართველობათა სავალდებულო დადგენილებათა გამოცემის უფლების გაფართოების შესახებ. ფრაქციის დავალებით უნდა მოგახსენოთ, რომ ეს გახლავთ, მეტად რთული საკითხი და ამიტომ მოვითხოვთ მის გადადებას და შემდეგ მის გატარებას კანონმდებლობის გზით და არა დეკრეტის სახით, რადგან შეიძლება მის ასე აჩქარებით გატარებას მოჰყვეს საშიში შედეგები.

რ. არსენიძე. დეკრეტი ეხება იმ სანიტარულ გადასახადებს, რომლის დაგვიანება შეუძლებელია, ამიტომ ჩვენ ვერ დავეთანხმებით ბატონ გვაზავას წინადადებას, რომ იგი გადადებული იყოს. ჩვენ მოვითხოვთ მხოლოდ საბოლოო დასამუშავებლად გადაეცეს იგი ადგილობრივ მმართველობას და თვითმმართველობის კომისიას.

დეკრეტი გადაეცა თვითმმართველობის კომისიას.

მეორე მუხლობრივი განხილვა საქართველოს სახელმწიფოებრივის წესდებისა.

დ. თოფურიძე კითხულობს მუხლობრივ წესდებას. სამ საათზე დარბაზში ქვორუმი უკვე აღარ არის, რის გამოც კრება სწყდება.

შემდეგი სხდომა დანიშნულია პარასკევს. დღის წესრიგშია დარჩენილი საკითხები.

დამფუძნებელ კრების ხელოვნების კომისიაში.

„ვაკე."

დამფუძნებელ კრების ხელოვნების კომისიამ მიიღო მხედველობაში, რომ ტფილის გარეთ მდებარე ადგილი „ვაკე", სადაც წელს გადახდილ იქნა დღესასწაული საქართველოს დამოუკიდებლობის თავის აღსანიშნავად, წარმოადგენს შესანიშნავ ალაგს მასიური დღესასწაულისათვის. დაადგინა, რომ მომავალი წლის 26 მაისისთვის ეს ადგილი ინჟენერ სპეციალისტთა დახმარებით შეკეთებულ იქნას ხელოვნურად ფართო სტადიონად საბერძნეთის თეატრივით. მკითხველ საზოგადოებას მოეხსენება, რომ „ვაკე" დაცემულია ორ დიდ გორაკს შუა. მომავალი წლისთვის გორაკების ფერდოებზე მოწყობილი იქნება დასაჯდომი ადგილები. თვით ვაკე ადგილი ძირს გაწმენდილი და მოკირწლული. ერთი სიტყვით ეს ალაგი იქნება ნამდვილ თეატრათ წმინდა ჰაერზე, სადაც მოთავსდება 100 ათასზე მეტი მსმენელი მაყურებელი. ამისათვის ხელოვნების კომისიამ წინადადება მისცა ქალაქის გამგეობას გადასცეს კომისიას განკარგულებაში სპეციალისტები ინჟინრები და ხუროთ მოძღვარნი, რათა შეადგინონ მათ გეგმა სტადიონის მოწყობისა „ვაკეზე". დაინიშნება კონკურსი საუკეთესო პროექტზე, არჩეულია კომისია, რომელიც ამ დღეებში შეუდგება მუშაობას.

სცენის მოღვაწეთა ყრილობა.

ხელოვნების კომისიის დადგენილებით მოკლე ხანში დანიშნული იქნება დღე სცენის მოღვაწეთა ყრილობისა, მოწვეული იქნებიან თეატრის ყველა დარგის მოღვაწენი. რეჟისორნი, დრამატურგები, აქტიორები და სხ. ყრილობის მიზანია გამოირკვიოს თეატრის თანამედროვე მდგომარეობა საქართველოში.

დახმარება მწერლებს.

კომისიის დადგენილებით დამფუძნებელი კრების წევრს მ. სამსონ ფირცხალავას დაევალა შედგენის სია იმ მწერლებისა და საზოგადო ხელოვანთა, რომელნიც საჭიროებენ მატერიალურ დახმარებას.

კერძო რაუტი გენ. ჰარბორდის პატივსაცემლად.

6 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე აკაკი მეთოდეს ძე ხოშტარიას ბინაზე შესდგა რაუტი გენ. ჰარბორდის პატივსაცემლად. რაუტს დაესწრნენ: გენ. ჰარბორდი, პოლკ. ჰასკელი თავისი მეუღლით და 40 კაცისაგან შემდგარი ამალით, მინისტრები: ბ-ნნი: რამიშვილი და ხომერიკი (დანარჩენი მინისტრები ავადმყოფობის გამო ვერ დაესწრნენ), ინგლისის პოლიტიკურ მისიის თავჯდომარე ოლივერ უორდროპი და მისიის წევრნი და ქართველი საზოგადო მოღვაწენი. რაუტი საღამოს 8 საათზე დასრულდა.

მისალმება

სახალხო გვარდიის მთავარმა შტაბმა შემდეგი დეპეშა მიიღო აფხაზეთის სოც.-დემ. ორგანიზაციისაგან: „აფხაზეთის სოც.-დემ. ორგანიზაციათა ყრილობა მიესალმება რესპუბლიკის სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს, როგორც რეაქციის წინააღმდეგ შეიარაღებულ დემოკრატიის ღირსეულ წინამძღოლს, რომელმაც საბედნიეროთ გააერთიანა სამშობლოს ხალხისთვის სამსახური და ხალხთა ძმობა-ერთობისთვის სამსახური. სახალხო გვარდია, რომელმაც თავისი სისხლით შეღება მსოფლიო პროლეტარიატის წითელი დროშა, უერთგულესი მცველია სოციალიზმის იდეის და საქმისა ჩვენ ქვეყანაში.

ყრილობის პრეზიდიუმი.

ერობა.

ქუთაისის სამაზრო ერობაში.

განსაკუთრებული კომისიის მიერ შემდგარის საადგ-ზემ. განყ. გამგ. ერობის ინჟინერის და ინჟინერ ჰიდრავლიკის მონაწილეობით წარმოდგენილი პროექტი ანანოვის არხზე მდებარე წისქვილების დაბეგვრის შესახებ.

მიღებულ იქნას მეორე მუხლის მესამე განყოფილების შემდეგ ნაირად შეცვლით იჯარის რაოდენობა ლარიან წისქვილებზე იმდენი რამდენიც ტურბინაზე.

ამაღლების თემის მომართვის შესახებ, რათა ჩიჯავაძეს, პორომის მოიჯარადრეს, ჩამოერთვას პორომი, რადგანაც მისი იჯარის დრო გასული არის, დაადგინეს: პორომი მთელი თავისი ქონებით ჩამოერთვას და გადაეცეს თემის განკარგულებაში.

გურნის თემის შუამდგომლობა: პასპორტზე და მოწმობებზე გადასახადების აღების შესახებ, დაადგინეს: შუამდგომლობაზე უარეყოს. ეცნობოს ყველა თემებს, რომ ვერავითარ გადასახადს, სანამ თემთა საბიუჯეტო უფლებები არ გამოირკვევა, თემები ვერ გაწერს.

ამაღლების თემის შუამდგომლობის შესახებ, რათა მიეცეს წინადადება ადგილობრივ კოოპერატივის ნოქარი მოიწვიოს წევრთა საზოგადო კრება,დაადგინეს: ეცნობოს,რომ კოპერატივი კერძო უფლებრივი დაწესებულებაა, რომელიც აშენებულია განსაზღვრულ წესდებაზე და ამიტომ კრება მოწვეულ უნდა იქნას თვით წევრების მიერ წესდების თანახმად.

საძოვარ-საიჯარო განყ. წინადადების შესახებ, რათა პეტრე წულუკიძეს მიეცეს 18 დესეტინა მიწა იჯარით ხოლო 12 დესეტინა გადაეცეს გლეხებს, დაადგინეს: მიეცეს წინადადება აგრონომ. განყ. გრ. ნუცუბიძესთან ერთად გამოიმუშაოს იჯარის პროექტი და წარმოუდგინოს გამგეობას.

მიეწეროს თემებს ცირკულიარული დადგენილება, რომ მათ არა აქვთ უფლება დაიქირაონ შტატს ზევით მილიციონერი, მიენდოს გამგ. წევრს შ. სანებლიძეს შეიმუშაოს პროექტი ზეკრის უღელტეხილთან სადარაჯოს შექნის შესახებ და დასამტკიცებლად წარმოუდგინოს გამგეობას.

ეცნობოს ყველა თემებს, რომ ვერავითარ გადასახადს ვაჭრობისათვის ვერ დააწესებს თემი იქ, სადაც „იარმარკა" არ არის დამტკიცებული. ასეთ ადგილებისათვის განსაკუთრებული ნიხრი იქნება გამომუშავებული.

ნიხრის პროექტის გამომუშავება მიენდოს გამგ. წევრს შ. სანებლიძეს.

ეცნობოს საყულიის თემს, რომ სანამ მთავრობა გადაწყვეტდეს ამ საკითხს, თემთა გამგეობების წევრებს ჯამაგირს მისცემს სამაზრო ერობა.

ნახახულევის თემის ხმოსანთა ყრილობის ოქმი დამტკიცებულ იქნას, რაც შეეხება გზების გაფართოების საკითხს ეცნობოს, რომ გზების გაფართოება ტეხნიკური ზედამხედველობის გარეშე შეუძლებელია. მიენდოს გამგეობის წევრს მ. გვაზელს გამოიმუშაოს ინსტრუქცია გზების გაკეთების შესახებ ყველა წვრილ ერთეულებისათვის წარმოდგენებზე გადასახადის შემოღების შესახებ მიენდოს გამ. წევრს შ. სანებლიძეს გამოიმუშაოს საერთო წესი და გაუგზავნოს თემებს.

ფარცხანაყანევის თემის განცხადება გადაეცეს ყრილობის მიერ ამორჩეულ კომისიას წვრილი ერთეულების საკითხების მოსაგვარებლად.

ობჩის თემის ყრილობის ოქმები № 5, 6, 7 დამტკიცებულ იქნას თანახმად თემის წინადადებისა. მიეცეს წინადადება თემის გამგეობას რათა ადევნონ თვალყური აჯამეთის ტყის ექსპლოატაციას. ეცნობოს თემის გამგეობას, რომ ტყიდან მასალის გაყიდვა გაწესრიგება სამიწათმოქმედო სამინისტროს სატყეო განყოფილების საქმეა.

მიეცეს ქ. ქუთაისის სისხლის სამართლის მილიციის უფროს სულაქველიძეს ათი ცხენის ორი დღის ქირა 50 მან. დღეში—სულ ათასი მანეთი და ორი დღის ათი კაცის დღიური ოცდა ათი მანეთი დღეში — ექვსასი მანეთი სულ ათას ექვსასი მანეთი.

ეცნობოს გურნის თემს, რომ საჭირო არის დარჩეს სასოფლო ათის თავები და ასის თავები.

მიენდოს რაიონის ტეხნიკს გამოარკვიოს ბინის საჭიროება და აგრეთვე თუ რომელი ბინის რეკვიზიცია შეიძლება და თავისი აზრი წარმოუდგინოს გამგეობას.

ვინაიდან აგვისტოს და სექტემბრის თვეების განმავლობაში მაზრის კომისარი ახვლედიანი სხვა და სხვა საქმეების გამო დადიოდა მაზრაში და მის მოვალეობას ასრულებდა რამიშვილი, მიეცეს მას ერთდროული დახმარების სახით ორი ათასი მანეთი.

დამფუძნებელი კრების წევრის ზაქარია გურულის განცხადება შესახებ იმისა, რომ წყალტუბოს აგარაკის მოსამსახურეთ, ექიმს, მის თანაშემწეს, საოჯახო განყ. გამგეს, მის გამგეს, მის თანაშემწეს და სხვებს, ვინაიდან მათი მუშაობა მეტად ინტენსიურია და ყოველივე ნორმის გარეშეა, მიემატოს ჯამაგირები, დაადგინეს: მოხსენება მიღებულ იქნეს მხედველობაში.

მოისმინეს: ცნობა ხონის რკინის გზის სამართველოსთან საროსკიპო სახლის გახსნის შესახებ, დაადგინეს: ეცნობოს ქალაქის გამგეობას, რათა საროსკიპო სახლი, რომელიც ხონის რკინის გზის სამართველოსთან ეწყობა დაუყონებლივ მოხსნილი იქნას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუნიციპალური ცხოვრება.

ზესტაფონის თვითმართველობაში.

1) სასკოლო კომისიის მოხსენება:

მომხსენებელი პ. მეტრეველი აცნობს საბჭოს, რომ მომავალ სამოსწავლო წლიდან, თანახმად საბჭოს დადგენილებისა, ორ პირველ დაწყებითი სასწავლებლის გარდა, თანახმად სამინისტროს განკარგულებისა, ქალაქს ემატება გიმნაზიასთან არსებული უფროსი და უნცროსი განყოფილება, რომლებიც სრულიათ ეხსნება გიმნაზიას და გადადის ქალაქის ხელში. ამისათვის სასკოლო კომისიამ განიძრახა მოახდინოს გადაჯგუფება.

საბჭომ, მოისმინა რა სასკოლო კომისიის მოხსენება სათანადო ხარჯთ აღრიცხვის წარმოდგენით, დაადგინა: მიღებულ იქმნას სასკოლო კომისიის მიერ წარმოყენებული პროექტი და აღძრას შუამდგომლობა, სადაც ჯერ არს, სამოსწავლო წლის დასაწყისიდან გადაკეთდეს არსებული ქალთა ორკლასიანი სასწავლებელი საზოგადო განათლების ოთხკლასიან მაღალდაწყებითი შერეულ ტიპის სასწავლებლათ, რომელშიაც ხელვარჯიშობას მიექცევა განსაკუთრებული ყურადღება. დაევალოს გამგეობას აღძრას შესაფერი შუამდგომლობა მთავრობის წინაშე ხარჯთ აღრიცხვაში ნაჩვენებ კრედიტების გადასარიცხავად.

2) აგრარული რეფორმის გატარება ქალაქში.

ქალაქის ფარგლებს შიგნით მდებარე ადგილებზედ აგრარული რეფორმის გატარების შესახებ ვრცელ მოხსენებას აკეთებს განსაკუთრებული კომისიის დავალებით ხმ. კ. ბუაჩიძე. მომხსენებელი ზოგადად აღნიშნავს ქალაქების ფარგლებში აგრარული რეფორმის გატარების აუცილებლობას და ეხება იმ პრაქტიკულ დაბრკოლებებს, რომლებიც გამოწვეულია რესპუბლიკაში არსებული ქალაქების ეკონომიური, გეოგრაფიული, კლიმატიური და სხვა პირობების მიხედვით განსაკუთრებულ რიგს წარმოადგენენ ახლად აღორძინებული ქალაქები. გუშინდელი სოფელი—ლანჩხუთი—ლონდონის სივრცეზე არის გადაჭიმული, თვით ჩვენი ქალაქი ზესტაფონი ბევრით არ ჩამოუვარდება ძველსა და დიდი ხნობით გაშენებულ ქალაქებს. მომხსენებელის აზრით, ამის მიზეზები გახლავთ ის გარემოება, რომ ჩვენი ახალი ქალაქები აღორძინდნენ რევოლიუციის პირველ დღეებში, როდესაც არც ხალხი და არც მთავრობა არ იყვნენ დარწმუნებული თუ რა შედეგს მოგვცემდა რევოლიუციის მომავალი მსვლელობა. სოფელი ტრადიციულად მიილტვოდა ქალაქებისაკენ. ქალაქის ფარგლებში ცხოვრება სინონიმი იყო „მოქალაქეობრივი უფლებების“ მოპოების. ამან გამოიწვია ის გარემოება, რომ გაქალაქებული დაბების ფარგლებში მთელი რიგი განაპირა სოფლები მსურველი გახდა ახალი ქალაქის ფარგლებში მოყოლოდა, რაც კიდეც მოხდა. მაგრამ ამით არ შეცვლილა მათი ცხოვრების ხასიათის და უმრავლესობა კვლავ იმავე წესით ეწევა მეურნეობას რა წესითაც უწინ. ცხადია კომისიას არ შეეძლო არ მიეღო მხედველობაში ეს გარემოებანი და პროექტშიდაც განსხვავებული დებულებები მიიღო შედარებით დიდსა და ძველ ქალაქებთან.

დემოკრატიულ რესპუბლიკაში ყოველი რეფორმა მშრომელი ხალხის ინტერესებს უნდა იცავდეს და კომისიასაც არ შეეძლო ეღალატნა ამ პრინციპისათვის. კომისიამ ქალაქი ორ ზონად გაჰყო, ცენტრი, სადაც დიდი უმრავლესობა მცხოვრებლების ვაჭრობა მრეწველობას ეწევა, და განაპირა ადგილების, სადაც უმეტესად სოფლის მეურნეობას ეწევიან. პირველ ზონაში კომისიამ სასურველად დაინახა ნორმა ერთი დესიატინა იყოს, მეორეში—სამი იმ აუცილებელი მნიშვნელობით, რომ თუ მიწის მესაკუთრის არსებობის წყაროს უმეტესად სოფლის მეურნეობა შეადგენს ნორმა გაუდიდდეს პირველ ზონაში ორ დესიატინამდე, მეორეში—ოთხ დესიატინამდე.—სტატისტიკური ცნობით, დასძენს მომხსენებილი, ჩვენ ვიცით, რომ თითქმის არც ერთი ქალაქის ფარგლებში მცხოვრებ მეურნე—მოვაჭრეს მიწის რაოდენობა არ აღემატება 10-12 ქცევას. მაშასადამე ჩვენ სავსებით დავიცავთ მშრომელი მოქალაქის ინტერესებს, მეორე მხრივ კი ქალაქის ფარგლებში ბევრნი არიან ისეთი მოქალაქეები, რომელთაც ცხოვრების წყაროს თავისუფალი პროფესია ვაჭრობა-მრეწველობა შეადგენს, აი მათ პირველ ზონაში ერთ დესიატინას, მეორეში სამს—უტოვებთ. ამ რიგათ ჩვენ მშრომელი ხალხის ინტერესებს ოდნავადაც არ შეუბღალავთ და შეძლებას მივსცემთ უმიწაწყლო მუშებს, მშრომელ ხალხს, გაიუმჯობესონ თავიანთი მდგომარეობა. კიდევ მეტი, აღნიშნავს მომხსენებელი, აგრარულ რეფორმა ამ სახით ყველა მოქალაქის ინტერესებს ემსახურება, ვინაიდან ჩვენი პროექტით ჩამორთმეული მიწები ქალაქის ხელში უნდა გადავიდეს, რომელიც ცხადია მუნიციპალურ მეურნეობას აწარმოებს.—მომხსენებელი აღნიშნავს, რომ აგრარული რეფორმის ქალაქის ფარგლებში გატარების შესახებ დეკრეტი მხოლოთ წელს გამოცხადდა. ბევრ მესაკუთრე მემამულეებს ეგონათ, რომ ქალაქს ხსენებული რეფორმა არ შეეხებოდა და შეეცადნენ სოფლათ მიეღო კანონიერი ნორმა და ქალაქშიდაც შეხიზნით შეენარჩუნებიათ რამდენიც მოეპოებოდათ ეს გარემოებაც სხვათა შორის იწვევს აგრარული რეფორმის ქალაქშიდ აუცილებლად გატარებას. კომისია იმ აზრის არის, რომ ნორმა სოფლათ და ქალაქად ერთი უნდა იყოს; ის ვინც მთლიან ნორმას 7 დესეტინას აიღებს სოფლად ქალაქის ფარგლებში კარგავს ნორმის აღების უფლებას.

მემამულეს უფლება ეძლევა სოფლად და ქალაქად პროპორციის მიხედვით აიღოს ერთი ნორმა.

საბჭო გადადის მუხლობრივ განხილვაზე. კამათს იწვევს უმთავრესად მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეცხრე და მეათე მუხლბი; უკანასკნელი ორი მუხლის შესახებ ხმ. მ. გვალია. კ. ანთაძე და ბ. კლენჯერიძე თავის სიტყვაში ატარებენ იმ აზრს, რომ ჩამოერთმევა მიწების და მით უმეტეს შენობების უნდა მოხდეს სასყიდელით. მომხსენებელი კ. ბუაჩიძე განმარტავს მესამე მუხლს და აღნიშნავს, რომ კომისიას აღებული აქვს განზრახული აასიდის პლანი ქალაქის საზღვრებათ რომელიც იყოფა ორ ზონათ. პირველი ზონის სივრცე დაახლოვებით იქნება ერთი ვერსი, რომლის საზღვრები წარმოადგენს შემდეგს: გიმნაზიიდან სწორი ხაზით ერობის სამმართველომდის, ერობიდან სემაფორი, სასაფლაო, აჯამურას პირი, სანაო, ქვედა გადასასვლელი (პერეეზდი). და გიმნაზია. დასასრულ საბჭო ღებულობს კომისიის მიერ წარმოდგენილ პროექტს უცვლელად, გარდა მეხუთე მუხლისა, რომელსაც დაემატა: კლიმატიური პირობები და გეოგრაფიული მდგომარეობა.

შემფასებელი კომისიის მოხსენების განხილვა საბჭოს მიერ გადადებულ იქნა შემდეგი სხდომისათვის, ვინაიდან სხდომას ვერ დაესწრო მომხსენებელი შეფასებული კომისიის თავმჯდომარე ვ. ჩხეიძე, რომელიც გამგეობის მიერ გაგზავნილი იყო ქ. ქუთაისში საშემფასებლო საქმეების გასაცნობათ. გადადებულ იქმნა აგრეთვე დღის წესრიგიდან მე 4 და 5 კითხვები, დროის უქონლობის გამო.

თანამედროვე დემოკრატიის უფლება.

II თავისუფლების უფლებათა ფუნქციები თანამედროვე დემოკრატიაში.

დემოკრატიაში თავისუფლების უფლებათა უმთავრესი ფუნქცია მდგომარეობს სუბიექტიურ უფლებათა იმ კატალოგის წამოყენებაში, რომელიც წინუძღვის ყოველ კონსტიტუციას, რომელიც უნდა იქნეს აღიარებული სახელმწიფოს ყოველ კონსტიტუციის მიერ და უნდა იქნეს შეუხებელი ჩვეულებრივ კანონმდებლისათვის. ადამიანის თავისუფლების უფლებათა ეს თავისუფლება, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ისინი წარმოადგენენ თითქოს ხელშეკრულებას, რომელიც არის სახელმწიფოს საფუძველი აძლევს მას იმ საიდუმლო ძალას, როგორსაც ამ უფლებებს აწერდენ ძველი დემოკრატიული კონსტიტუციური კანონმდებლები. ეს საიდუმლო ძალა იმაში მდგომარეობს, რომ უფლებანი თითქოს უზრუნველყოფილნი ხდებიან იმ კონსტიტუციებით, რომელთაც ისინი წინუძღვიან. ისინი, ამგვარათ არიან კონსტიტუციის გარანტიები.

ეს შეხედულება თავისუფლების უფლებათა ანუ ადამიანის უფლებათა ფუნქციაზე პირველათ ყოვლისა ხვდება ჩრდილო-ამერიკის კავშირის მამებს. თუმცა გამილტონი „Federalist“-ში (№ 82) მიუთითებდა იმაზე, რომ უფლებათა შესახებ ცალკე ბილის, bille of rights—წამოყენება არაა საჭირო, ვინაიდან საკავშირო ხელისუფლება შეზღუდული და სწორეთ ჩამოთვლილი რწმუნებულებებით, და რომ ერთგვარათ ცალკებრივ შტატების კონსტიტუციები უკვე წარმოადგენენ bills of rights-ო. მაგრამ მაინც საკავშირო კონსტიტუცია დამტკიცებული იქნა ცალკებრივ შტატების მიერ იმ პირობით, რომ კონსტიტუციას შესწორების სახით მიემატა თავისუფლების უფლებათა კატალოგი, რაც სინამდვილეში იმ წუთსვე მოახდინეს, როგორც კი კავშირი ძალაში შევიდა. ჯეფერსონი ამბობს მაშინდელ შეხედულების შესახებ შემდეგს: „ჩვენი სახელმწიფოებრივი საზოგადოების მიზნები არ მოითხოვენ ყველა ჩვენ უფლებათა სრულ გაუქმებას ჩვენი ჩვეულებრივ მმართველების სასარგებლოთ. არსებობენ ჩვენი უფლებების განსაზღრული ნაწილები, რომელიც არ სჭირდებათ ნამდვილ მმართველობისათვის და რომელთაც ისინი, როგორც გვიჩვენებს გამოცდილება, ყოველთვის თავს ესხმიან თუ მათ მიანიჭეთ ეს უფლებანი. არსებობენ განსაზღვრული შეზღუდვანი, რომელნიც აღმოჩნდენ განსაკუთრებით სასარგებლონი უსამართლობის წინაღმდეგ...“ ჯეფერსონის ეს სიტყვები მოგვაგონებენ რუსსოს, რომელიც თავის „Contrat social“-ში ამბობს: „სუვერენულ ხელისუფლების ფარგლების შესახებ“: „უნდა დავთანხმდეთ, რომ ყველა იმიდან, რაზეც თვითეული უარს ამბობს საზოგადოებრივი შეთანხმების გზით, თავის ძლიერებიდან, ქონებიდან და თავისუფლებიდან, საზოგადოებისათვის მეტათ საჭიროა ჰქონდეს შესაძლობა ისარგებლოს ამისი მხოლოდ ნაწილით“.

ამისდაგვარათ საფრანგეთის დამფუძნებელ კრებაში ისწრაფოდენ შექმნათ ადამიანის უფლებათა ისეთი დეკლარაცია, რომელიც შემდეგისთვის, მომავლისათვის იქნებოდა საზოგადოებრივი ხელშეკრულება, რომელიც ყველა მომავალ მთავრობისათვის სავალდებულო იქნებოდა. ასე, ლალლი ტოლ ლენდალმა სთქვა მაშინ: „რომ შექმნილია დეკლარაცია, ყველას უფლებათა დეკლარაცია რომელიც ერთგვარათ არის საზოგადოებრივ ხელშეკრულება, საყოველთაო შეთანხმება“ და დემენიემ დაუმატა, რომ ადამიანის უფლებათა ასეთი დეკლარაცია არის „პრინციპი, რომლითაც სარგებლობენ ყველა მმართველობის დროს“. ამგვარათ, თუ ეს ძირითადი შეხედულება თავისუფლების უფლებებზე და მათ ფუნქციურ მნიშვნელობაზე ტიპიურია ყველა დემოკრატიისათვის, მათი პრაქტიკული განხორციელება კი ყველა დემოკრატიაში ერთნაირათ არ ხდება. უფრო სრულებრივ ეს უფლებანი განხორციელებულნი არიან ამერიკული ტიპის წარმომადგენლობითი დემოკრატიაში. კონსტიტუციის მიერ აქ შემოღებული ორგანოები ითვლებიან ხალხის მხოლოდ აგენტებათ, მათ სწორათ მოქმედებას თვალყურს ადევნებს სასამართლო ხელისუფლება. სახელმწიფოებრივ ხელისუფლების სამი ნაწილის განკერძოებას და ხალხისადმი მათ დამორჩილებას შედეგათ ის მოაქვს, რომ სასამართლო ხელისუფლება შინჯავს სახელმწიფოებრივ ხელისუფლების ორ სხვა ნაწილის—აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების აქტებს, იმის გამოსარკვევათ, ეთანხმებიან ისინი კონსტიტუციას და ეწინააღმდეგებიან თუ არა ეს აქტები კონსტიტუციაში უზრუნველყოფილ თავისუფლების უფლებებს. ამგვარათ, თავისუფლების უფლებათა სინამდვილე ამერიკულ კონსტიტუციებში უზრუნველყოფილი ხდება კანონის გაშინჯვის შესახებ, სასამართლოს უფლებით კანონები გაუქმებულ იქნებიან, თუ ისინი თავისუფლების უფლებებს ეწინააღმდეგებიან.

სხვანაირათაა საქმე პარლამენტარულ დემოკრატიაში, მაგალითად, საფრანგეთში. აქ პარლამენტი სუვერენს მაგიერობს. მისი მოღვაწეობის მოსამართლეებისადმი და სასამართლოსადმი დაქვემდებარება ყოვლად წარმოუდგენელია. არ არსებობს აგრეთვე სახელმწიფოებრივი ხელისუფლების სამგვარი გაყოფა და ხელისუფლებათა განკერძოება როგორც დემოკრატიაში ხელისუფლებათა განაწილებითურთ. ამ მიზეზის გამო ფრანგები უარყოფენ თავისუფლების უფლებათა სასამართლოების მიერ პრაქტიკულ განხორციელებას ამერიკული მაგალითის მიხედვით და კმაყოფილდებიან მით, რომ წმინდა თეორეტიულათ აწესებენ იმ კანონის არა კონსტიტუციობას, რომელიც „ადამიანის უფლებებს“ ეწინააღმდეგება.

უმეშვეო დემოკრატიამ ყველაზე უკეთესათ გასძლო ადამიანის უფლებათა არქონით და მათ განუხორციელობით. ეს მტკიცდება უკვე ანტიური დემოკრატიის მაგალითით. რადგანაც სახელმწიფოს თვითეული მოქალაქე იყო ერთსა და იმავე დროს მეუფე და მორჩილიც, იგი არ საჭიროებდა საკუთარ დაცვას თავის თავისაგან, როგორც ხელისუფლებისაგან. ცხადათ აქვს ეს გარკვეული რუსსოს, უმეშვეო დემოკრატიის უმთავრეს წარმომადგენელს: „სუვერენს, რომელიც შექმნილია იმის შემადგენელ კერძო პირებისაგან, არა აქვს და არ შეიძლება ქონდეს ინტერესები, რომელიც უკანასკნელთა ინტერესებს ეწინააღმდეგებოდეს, ამიტომ სუვერენული ხელისუფლებას არ სჭირდება გარანტია ქვეშევრდომთა წინააღმდეგ“. ამგვარათ, რუსსოს აზრით, კონსტიტუციის გარანტიები არ არიან საჭირონი.

მეორე ადგილას რუსსო იმ აზრს გამოსთქვამს, რომ უმეშვეო დემოკრატიაში თან დაყოლილ უფლებათა შენარჩუნება არაა საჭირო. „რადგან ეს უარისყოფა (ესე იგი ინდივიდის მიერ უფლებებზე უარისყოფა საზოგადოების სასარგებლოთ) სწარმოებს უსიტყვოთ, ამიტომ კავშირი ხდება სრულოვნათ, რამდენათაც შეიძლება ის იყოს ასეთად, და არც ერთს მონაწილეთაგანს აღარა აქვს უკვე განსაკუთრებული მოთხოვნილებანი“, ვინაიდან, თუ ცალკებრივ პიროვნებებს დარჩათ კიდევ ზოგიერთი უფლება, მაშინ, ხელისუფლების არყოფნის გამო, რომელსაც შეეძლო გადაეწყვიტა და დავა მათ და საზოგადოებას შორის, თვითეული, რომელიც ზოგიერთ საკითხში თავის საკუთარი მოსამართლე იქნებოდა, მალე დაიწყებდა იმაზე ზრუნვას, რომ ასეთად გახდეს ყველა საკითხში: ბუნებრივი მდგომარეობა თავის არსებობას განაგრძობდა“... ამგვარათ, თუ უმეშვეო დემოკრატიაში კონსტიტუციის მიერ აღიარებული არიან თავისუფლების უფლებანი, მაინც არც ერთ მოსამართლეს არ შეეძლია მათ გასაყვანათ გარანტია მოგვცეს ვინაიდან ამით იგი თავის თავს დააყენებდა საკანონმდებლო, ხელისუფლებაში გამომხატველზე Λolonte qenerale, საზოგადოების ნებაზე მაღლა. ამიტომ შვეიცარიის ყველა კანტონალურ კონსტიტუციიდან მხოლოდ ორმა აღჭურვა მოსამართლე კანონების გაშინჯვის უფლებით ამერიკული სახის მიხედვით. მაგრამ 1848 წ. საკავშირო შვეიცარული კონსტიტუცია, სჩანს, რუსსოს შეხედულებათა გავლენაში იყო, როცა მან საკავშირო კრებას მიანიჭა იმის გაშინჯვის უფლება: კანონმდებელმა დაარღვია თუ არა საკავშირო კონსტიტუციის მიერ უზრუნველყოფილი უფლებანი მოქალაქეებისა. მუხ. 105 კონსტიტ. 1848 წ.: „საკავშირო სასამართლო სამართლობს საკავშირო კონსტიტუციის მიერ გარანტია მიცემულ უფლებათა დარღვევის შესახებ, თუ ამის გამო საკავშირო კრებიდან საჩივარი მოუვა“. მხოლოდ დიუბსის წინადადებით, რომელსაც მხედველობაში ქონდა ხელისუფლებათა განაწილება ამერიკული სახის მიხედვით, საკავშირო სასამართლო ეხლანდელ საკავშირო კონსტიტუციაში—1874 წ.—აღჭურვილია კანონმდებელის გაშინჯვის უფლებით იმ შემთხვევაში, თუ მან დაარღვია მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებანი, მაგრამ კანტროლის ეს უფლება აღიარებულია მხოლოდ კანტონალურ კანონმდებელზე, რათა საკავშირო ორგანიზაციაში მაინც სასამართლო ხელისუფლება საკანონმდებლო ხელისუფლებაზე მაღლა არ იქნეს დაყენებული.

სახალხო სკოლა და სახალხო უნივერსიტეტი

სახალხო სკოლის დანიშნულებაა მისცეს მოსწავლეებს უმთავრესად ის, რასაც ჩვენ, ქართველები, ვეძახით ოსტატობას, ხოლოჭრე-

სები — „УМѢНЬЕ"-ს, ე. ი. სახალხო სკოლამ უნდა მისცეს თავის მოწაფეებს ოსტატობა ლაპარაკისა, ოსტატობა წერისა, ოსტატობა კითხვისა, ანგარიშისა, ხატვისა, გალობა-სიმღერისა და ყველა ამით დააყენოს ისინი თვით-მოქმედ, თვით-განვითარების გზაზე...

ახლა, რით აღწევს სახალხო სკოლა ყველა ამ მიზნებს? პედაგოგიკას ამისათვის აქვს ერთად ერთი საშუალება, სახელდობრ, ვარჯიშობა, და ყოველი ჭეშმარიტი სახალხო სკოლა ფართოთაც ხმარობს ამ საშუალებას დასახელებულ ოსტატობათა ზედ მიწევნით შესათვისებლად. ასე რომ ხელ-დაუღებელი ვარჯიშობა მოსწავლეთა ლაპარაკში თუ წერაში, კითხვაში, ანგარიში, ხატვაში, სიმღერა გალობაში და სხვა, აი, ქვა-კუთხედი ყოველი ჭეშმარიტი სახალხო სკოლისა!..

გადვიდეთ ახლა სახალხო უნივერსიტეტზე და ვიკითხოთ: რა დანიშნულება აქვს სახალხო უნივერსიტეტსა და რა უნდა გავხადოთ მის ქვა-კუთხეთათ?

სახალხო უნივერსიტეტის დანიშნულებაც უმთავრესად ის არის, რომ მივცეთ მის სტუდენტებს იგივე ოსტატობა, ხოლო არა ლაპარაკში, წერაში, კითხვაში, ანგარიშში და სხვა მისთანებში, არა; ამისათვის მას არცა სცალიან და არც დრო და შეძლება აქვს, ყველა ამ ოსტატობას სახალხო უნივერსიტეტის სტუდენტი დროს მიმავლობაში თითონაც შეიძლოს საკუთარი თვით-მოქმედებით... პირდაპირი დანიშნულება კი სახალხო უნივერსიტეტისა ის არის, რომ მისცეს თავის სტუდენტებს უმთავრესად ერთი ოსტატობა-ოსტატობა უნივერსალური აზროვნება-დაკვირვებისა საგნებზე, ე. ი. მიაჩვიოს ისინი ყველაფრის დაკვირვება-ძიებასა და მათზე სწორ აზროვნებასა, სწორ ცნებათა შედგენასა...

საუკეთესო გზა კი ამისათვის არის და იქნება საგნური სწავლა, ე. ი. სწავლა საგნისა თუ მისი ყალიბისა და ანუ სურათის წინაშე, და არა ცარიელი სიტყვიერი და სქოლასტიკური, როგორც ეს უწინდელს სკოლებში იყო, რადგანაც მხოლოდ ასეთი თვალ საჩინო სწავლა აძლევს მოსწავლეთ ნამდვილს ცოდნას და ამდიდრებს მათს გონებას ნამდვილ წარმოდგენა ცნებებით.

თქმულიდან ცხადია, საითკენ უნდა იყოს მიმართული სახალხო უნივერსიტეტის საბჭოსი და გამგეობის მეცადინეობა მდიდრად და უხვად მოაწყოს თავისი უნივერსიტეტი ფიზიკური, ისტორიულ-გეოგრაფიულ და სხვა ყოველგვარი კბბინეტებით ადგილებში და იქ მყოფ დაწესებულებებში.

ორიოდე სიტყვა თვით სახალხო უნივერსიტეტის სტუდენტებსაც. არ გეგონოთ, რომ უნივერსიტეტი სათამაშო ანუ გასართობი დაწესებულებაა და მეცადინეობა მასში — თამაშობა და გართობა, რისგამოც, როგორც გმიგია, ფრიად ჭრელად და უსწორ-მასწორადაც დაიარებით ლექციებზე. ეს ყოვლად დაუშვებელი მოვლენაა, ბატონებო, და ამიტომ ძირიანად უნდა მოისპოს იგი. ყოველი სწავლა ვალდებულებაა და ამიტომ, გინდა თუ არ გინდა, უნდა ისწავლო კიდეც, რაკი ერთხელ ჩაები სწავლაში! ეს კარგათ უნდა გაიკვეთოს ყოველმა სტუდენტმა და რაკი ერთხელ შევება სახალხო უნივერსიტეტის უღელში, მთელი თავისი ძალ ღონითაც უნდა სწიოს იგი! სხვანაირად არც შეიძლება, რადგანაც სახალხო უნივერსიტეტი ისეთივე სერიოზული დაწესებულებაა, როგორც სხვა ყოველი სასწავლებელი უნდა იყოს მისი ყოველი სტუდენტისათვის. ბატონებო! საზოგადოება და ქალაქი თუ რესპუბლიკა ზრუნავს თქვენთვის, უკანასკნელ თავისუფალ საათებს გწირავს თქვენ, უკანასკნელ კაპიკებს ხარჯავს თქვენთვის, სწავლა სახალხო უნივერსიტეტში სრულიად უფასოა, იგი ყოვლად დემოკრატიული დაწესებულებაა ორივე სქესისათვის და ნუ თუ ამდენი მსხვერპლის წინაშე არ შეგვიძლიანთ იტვირთოთ ერთი ვალდებულება-უკლებლად იაროთ ლექციებზე, რაკი ერთხელ სურვილი გამოაცხადეთ სწავლაზე და ბარათიც მიიღეთ.

მაშ ეგრე: 1) ვარჯიშობით გაოსტატება ყველაფრის დაკვირვებაში და მათზე სწორედ აზროვნებაში; 2) საფუძვლიანად შესწავლა ყოველი სასწავლო საგნისა ხშირი განმეორება-ვარჯიშობით თვით საგნის წინაშე და 3) უკლებლად დასწრება ლექციებზე, აი, ის ქვა-კუთხედი, რომელზედაც უნდა დამყარდეს ჩვენი უნივერსიტეტის მტკიცე და ბრწყინვალე მომავალი!,.

ივანე როხტომაშვილი.

სხვა და სხვა.

7 ოქტომბერს ტფილისიდან ბათუმში გაემგზავრა მოკავშირე სახელმწიფოთა უმაღლესი კომისარი ამიერ-კავკასიაში პოლკოვნიკი ჰასკელი თავისი შტაბით.

ამავე მატარებლით გაემგზავრა ამერიკელთა მისია.

გზათა უფროსის ინჟ. კანდელაკის განკარგულებით, სადგურების უფროსებმა ერთი საათით ადრე უნდა დაიწყონ მორიგეობა და თანაშემწეები მატარაბელს უნდა შეხვდენ.

ბათუმში მივიდა მატარებელი 8 ოქტომბერს, დილის 7 საათზე.

7 ოქტომბერს, საღამოს ტფილისიდან ბათუმში გაემგზავრა გენ. ნიუკონი.

◆ ადერბეიჯანის რესპუბლიკის პარლამენტის წევრი რზაევი 7 ოქტომბერს ბაქოში გაემგზავრა.

◆ 7 ოქტომბერს სომხეთიდან ტფილისში ჩამოსული ლტოლვილი მუსულმანები, 8 ოქტომბერს 4 ვაგონი განჯაში და ბაქოში გაიგზავნენ.

◆ 7 ოქტომბერს, როცა სადგ. შორაპნიდან ჭიათურაში მიდიოდა ორთქლმავალი, სოფ. დილიკაურის პირდაპირ, ბავშვებს ლიანდაგზე რკინის ნაჭრები დაუწყვიათ, რის გამო ორთქლმავალი ლიანდაგს გადასცდა და დაშავდა. დაპატიმრებული არიან ბავშვების მშობლები.

◆ კვირას, 12 ოქტომბერს 1919 წ. დილის 11 საათზედ ვაჟთა მეორე გიმნაზიის შენობაში დანიშნულია ხსენებულ გიმნაზიის მოწაფეების მშობელთა მეორე და უკანასკნელი კრება, ეს კრება ჩაითვლება კანონიერად, რამდენიც უნდა გამოცხადდეს მშობელი. ამიტომ სასურველია, რომ ამ კრების რაც შეიძლება მეტი რიცხვი მშობლებისა დაესწროს. კრების საგანია: დელეგატებისა და პედაგოგიურ საბჭოში კლასების წარმომადგენელების არჩევნები.

◆ საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოება სთხოვს იმ პირთ, ვისაც სურთ მანქანაზედ გადამწერის ადგილი მიიღონ, მობრძანდნენ კვირას, მიმდინარე თვის 12, დილის 9 საათზედ, საზოგადოების შენობაში (სერგიევის ქ. № 8) გამოსაცდელად, რადგან მსურველთა შორის დანიშნულია შეჯიბრება. გამოსაცდელად დაშვებული იქნებიან ყველანი, მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა შემოტანილი თხოვნა.

განცხადებანი

ზაქარია აკაკის ძე ფირუმოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, რაც გაუქმებულად ჩაითვალოს. 1492 3—3

მიხეილ ალექსანდრეს ძე ვაჩნაძე აცხადებს, რომ მან დაკარგა ტფილისის კოოპერატივის წიგნაკი № 7621, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1500 3—2

დაკარგულია სამხედრო უფროსის კანცელარიიდან აღებული მოწმობა სამუელ ბორისის ძე გორენშტეინის მიერ. მოწმობა გაუქმებულად ჩაითვალოს. 1498 3—2

ბეიბუთ აკოფის ძე გაზარიანცი აცხადებს რომ მან დაჰკარგა პასპორტი, რაც გაუქმებულად ჩაითვალოს. 1497 3—2

ქუთაისის სახალხო მილიციის სამმართველო თანახმად მიხეილ ბესარიონის ძე მგალობლიშვილს განცხადების, რომელსაც დაუკარგავს ექვსი კლასის დამთავრების მოწმობა რომელიც მას ჰქონია მიღებული 1915 წელში ქუთაისის სათავად-აზნაურო გიმნაზიის დირექტორისაგან, სთხოვს მნახველებს აღნიშნული მოწმობისა წარმოადგინოს მილიციის სამმართველოში ჩასაბარებლათ კუთვნილისამებრ. 1873 3—2

მიხეილ შალომას ძე მამისთვალოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა საფულე, რომელშიდაც იყო პასპორტი, სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა და ფულად 370 მან. პასპორტი და მოწმობა გაუქმებულად ჩაითვლება. 1485 3—2

დამზღვევი საზოგადოება „როსია" ამით აცხადებს, რომ დროებითი პოლისი № 67165 მიღებული 1919 წ. აპრილის 29 ს აბელ ბროდუას სახელზე დაკარგულია და გაუქმებულათ ითვლება. 1491 3—2

დაკარგულია პასპორტი მარიამ კოტლაიჩის სახელზე და პირადობის მოწმობა იულიანა იაკობის ასულის ვინევსკის სახელზე და ორი სასურსათო ბარათი მიღებული ამერიკელთა კომიტეტიდან. მპოვნელთ სთხოვენ მიიტანოს საბუთები მიხეილის ქ., № 169, ბინა 4. 1479 3—3

ელისაბედ ანდრიას ასული მანგასაროვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ნასყიდობის სიგელი, დამტკიცებული 1911 წ. დეკემბრის 14-ს ტფილ. ოლქ. სასამ. უფროსი ნოტარიუსის მიერ. 1433 3—3

პორფირე იუსტინეს ძე გოცირიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, რაც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1488 3—3

ქ. ჭიათურის უბნის მომრიგებელი მოსამართლე, თანახმათ დადგენილებისა ამა წლის 30 მარიამობისთვიდან და 1401 მუხ. ხამოქ. საქ. წარმ წესდებისა, იწვევს მემკვიდრეებს 27 მარიამობისთვეს 1917 წ გარდაცვალებულ მცხ. ს. თაბაგრებაში, შორაპნის მაზრის, მაქსიმე ივანეს ძე თაბაგრისას, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლებები უკანასკნელის შემდეგ დანაშთი ქონებაზედ 1241 მუხ. X ტ. 16. კან. კრებ. აღნიშნულ ვადაში. 1899 3—2

ნატალია კარაპეტის ასული კარიბოვა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ატესტატი აღებული მეორე ქალთა გიმნაზიიდან. ატესტატი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1462 3—2

ქუთაისის სახალხო მილიციის სამმართველო თანახმად დავით შაფათას ძე ხანანაშვილის განცხადებისა, რომელსაც დაუკარგავს დროებითი პასპორტი, მიცემული ქუთაისის სახალხო მილიციის სამმართველოდან, სთხოვს მნახველებს აღნიშნული პასპორტისა წარმოადგინონ სამმართველოში ჩასაბარებლათ კუთვნილისამებრ. 1936 3—2

პოლიტეხნიკუმში ფულის შეტანის კვიტანცია № 227, მიცემული გიორგი ღლონტის სახელზე დაკარგულია, რაც გაუქმებულად ჩაითვალოს. 1494 3—3

ტფ. საპყრობილეთა ინსპექცია

ამით აცხადებს, რომ ინსპექციის მიერ იჯარით აღებული ტყის ნაჭერი, ზომით 5 დესიატინა, მარტყოფ-იორის სატყეო რაიონში, ტფილისის მაზრის, იცემა იჯარით მოსაჭრელათ ტფ. ციხეების საჭიროებისათვის. იმ პირთ, ვისაც სურთ მიიღოს მონაწილეობა ვაჭრობაში, შეუძლიათ შემოიტანონ წერილობითი განცხადება საპყრობილეთა ინსპექციაში, დილის ცხრა საათიდან სამ საათამდე, სამი დღის ვადაში დღიდან განცხადების გამოქვეყნებისა. განცხადებასთან უნდა იყოს ზედ დართული პირადობის მოწმობა. საპყრობილეთა ინსპექციაში შეიძლება იჯარის შესასრულებლად პირობების გაგება. 1974 1—1

ქუთაისის სამხედრო ბინათა დისტანცია

ამით აცხადებს, რომ მიმდინარე წლის 15 ოქტომბერს დანიშნულია საჯარო ვაჭრობა შეშის მოწოდებაზე 1919/20 წლის ვადით ოზურგეთის გარნიზონისთვის 300 კუბიკური საჟენი. საჯარო ვაჭრობა მოხდება ოზურგეთის გარნიზონის უფროსის და ქუთაისის სამხედრო ბინათა დისტანციის კანცელარიებში, დღის 12 საათზე, როგორც ზეპირ შეჯიბრებით, აგრეთვე დაბეჭდილ განცხადებებით. შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღების მსურველმა უნდა წარმოადგინოს საწინდარი 2%, მოთხოვნილ ფასიდან და პირადობის საბუთები. კონდიციების ნახვა შეიძლება ყოველ არა უქმე დღე 8-დან 2 საათამდის აღნიშნულ კანცელარიებში.

1975 3—1

ქუთაისის სამხედრო ბინათა დისტანცია

ამით აცხადებს, რომ ამა წლის 16 ოქტომბერს დანიშნულია საჯარო ვაჭრობა საკვამლე მილების გაწმენდის იჯარით გაცემაზე სახაზინო შენობებში, რომელიც უკავია ქუთაისის, ფოთის, ოზურგეთის და სოხუმის გარნიზონებს. საჯარო ვაჭრობა მოხდება ყველა პუნქტების შესახებ ქუთაისის სამხედრო ბინათა დისტანციის კანცელარიაში და ადგილობრივად გარნიზონის უფროსის კანცელარიებში დღის 12 საათზე. შეჯიბრებაში მონაწილეობის მიმღებმა უნდა წარმოადგინოს 2% მოთხოვნილ ფასისა და პირადობის საბუთები. კონდიციების ნახვა შეიძლება ყოველ არა უქმე დღე 8-დან 2 საათამდის. 1976 3—1

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ საყურადღებოთ

რომ თანახმად სანიტარული გადასახადის მოკრეფის წესების 11 მუხლისა მან დაამტკიცა ზემოხსენებული გადასახადის განწილებანი შემდეგ სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა შორის: აბანოების, აფთიაქების, ასოს ჩამომსხმელ სახელოსნოების, ბაკების, ბამბის ქარხანების, ბანკირისა და ბანკის კანტორებისა, ბეჭდების ხელოსნოების, ბითუმად სხვა და სხვა ნივთებით მოვაჭრეთა, თეატრებთან ბუფეტების, სადგურებთან ბუფეტების, გილზის ქარხნების, გრამოფონების სავაჭროების, დამზღვევი საზოგადოების, ვაქსით სავაჭროების, ზეინკალის და ხარატის სახელოსნოების, თამბაქოს ქარხნების, თამბაქოს საწყობის, თამბაქოს მაღაზიების, თესლეულობის სავაჭროების, თივით მოვაჭრეების, თუნუქის სახელოსნოების, იარაღის სახელოსნოების, კავკასიური მაღაზიების, კალათების და ჩემოდნების სახელოსნოების, კვერცხის გამყიდველების, კირის საწყობის, კლუბები, კოლოფების სახელოსნოების, ლუდის ქარხნების, ლუდხანების, მავთულის სახელოსნოების, მეფუტკრობის მაღაზიების, მექათმეების, ნაბდების მაღაზიების, ოპტიკის მაღაზიების, ოქროულის მაღაზიების პაპიროსის ქაღალდის სახელოსნოების, პრობკით სავაჭროების, რეზინის ძირების სახელოსნოები, როიალების მომმართველ სახელოსნოების, საათის სახელოსნოების, საბილიარდოების, შინაური სადილების, საეკლესიო ნივთების მაღაზიების, სათამაშოების მაღაზიების, საკინძავი სახელოსნოების, საკოტლეტოების, საკერავი მანქანის მაღაზიების, სამხედრო სამკაულის სახელოსნოების, სანთლის ქარხნების, სამღებროების, საპონით სავაჭროების, სართავი ქარხნების, სასტუმროების სასწორის იჯარადრების, საფეიქროების, საღებავების მაღაზიების, საჩაიე და სახაშეების, საჭმელების დუქნების, ტანისამოსის გამწმენდავების, ტანისამოსის მაღაზიების, „ტირის" (მიზანში სასროლის), ტყავის სახელოსნოების, ფარნების მაღაზიების, ფოტოარაფეების, ქვის მთლელების, ქოლგების გამკეთებლების, ყაზახების, ყასბების, ყინულის გამყიდავების, შემდუღებელი სახელოსნოების, შორნიკისა და მეუნაგირის სახელოსნოების, შუშით სავაჭროების, შჩოტკების სახელოსნოების, შპალიერების მაღაზიების, ჰურჭლის მაღაზიების, წინდების სახელოსნოების, წყლის სადენის სახელოსნოების, ცირკების, ცივი საჭმელებით სავაჭროების, ძველეულობის შემკეთებლების, ჩამოსასხმელი სახელოსნოების, და ჩექმების საწმენდავების.

ზემოხსენებულ დაწესებულებათა პატრონებს, წესდების მე 12 მუხლის ძალით შეუძლიანთ დღიდან დამტკიცებისა ერთი კვირის განმავლობაში შემოიტანონ, განაწილებაზე საჩივარი საბჭოს სახელზე.

შეწერილი გადასახადის რაოდენობის შეტყობა შეიძლება ყოველ დღე 11—3 საათამდე ქალაქის გამგეობაში, გადასახადთა ბიუროში. 1970 3—1

სტამბა საქართველოს მთავრობისა.

დროებითი რედაქტორი ვიქტორ ნოზაძე